

საბანკო საქმის საფუძვლები I, II კურსი.
I, II სემესტრი. 2019-2020 წელი.
(გიორგი ცაავა,ჭელიძე მედეა)
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

Question 1

რომელ ქალაქში და რომელ წელს შეიქმნა პირველი ბანკი მსოფლიოში?

Select one:

- a. ქ. იერუსალიმში 1409 წელს;
- b. ქ. პალერმოში 1408 წელს;
- c. ქ. გენუაში 1407 წელს;
- d. არცერთი პასუხი სწორი არ არის.

Question 2

სებ-ის მონეტარული ინსტრუმენტის – ერთდღიანი სესხების კომერციულ ბანკებზე გაცემისას მის უზრუნველსაყოფად არ შეიძლება გამოყენებული იქნეს:

Select one:

- a. ბანკების სასესხო აქტივები;
- b. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
- c. ბანკების საზედამხედველო კაპიტალი.
- d. საერთაშორისო საბანკო გარანტიები;

Question 3

საბანკო ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილ უზამდგომლობას ჩამოთვლილთაგან რომელი დოკუმენტი არ უნდა ერთვოდეს?:

Select one:

- a. ბანკის სტარტეგიული განვითარების გეგმა;
- b. ბანკის რეგისტრაციის შესახებ სასამართლო დადგენილების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- c. დამფუძნებელთა კრების ოქმი;
- d. ბანკის ნოტარიულად დამოწმებული საკრედიტო ხელშეკრულება;

Question 4

ფულადი მულტიპლიკატორი ტოლია:

Select one:

- a. $1/(d+c)$;
- b. $(1-d)/(d+c)$.
- c. $1-(d+e)/(d+e+c)$;
- d. $(1+c)/(d+c)$;

Question 5

კრედიტის ფორმა, რომელიც მხოლოდ ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ გაიცემა არის:

Select one:

- a. საბლანკო კრედიტი;
- b. ოვერდრაფტი;
- c. კონტოკორენტული კრედიტი;
- d. ლომბარდული კრედიტი.

Question 6

საერთო ღია სავალუტო პოზიცია არის:

Select one:

- a. პოზიცია, როდესაც სხვადასხვა სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
- b. ბანკის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამს და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი;
- c. პოზიცია, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური და ეროვნული ვალუტით ბანკის აქტივები და ვალდებულებები ტოლია.
- d. პოზიცია, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;

Question 7

ფაქტორინგის დროს:

Select one:

- a. 3-4 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 80%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 20%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;
- b. 2-3 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 90%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 10%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ.
- c. 1-2 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 70%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 30%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;
- d. 4-5 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 90%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 10%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;

Question 8

თუ კომერციული ბანკის საზედამხებელო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 800 მლნ ლარს, მაშინ მის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:

Select one:

- a. 140 მლნ ლარს;
- b. 120 მლნ ლარს;
- c. 90 მლნ ლარს;
- d. 180 მლნ ლარს.

Question 9

უნადლო ანგარიშსწორების პრინციპებია:

Select one:

- a. საგადახდო ბრუნვის პრინციპები;
- b. გადახდის ვადიანობის და გადახდის უზრუნველყოფის პრინციპები;
- c. არცერთი პასუხი სწორი არ არის.
- d. ვადაგადაცილების პრინციპი;

Question 10

ბანკებს არ შეუძლიათ გახსნან შემდეგი სახის აკრედიტივები:

Select one:

- a. გამოთხოვითი და გამოუთხოვარი;
- b. არცერთი პასუხი სწორი არ არის.
- c. დაფარული და არადაფარული;
- d. ფასის მომტანი და ზარალიანი;

Question 11

ისეთ შემთხვევაში, როდესაც სესხის ძირითადი თანხის ნაშთის გადაუხდელი ნაწილი გირაოს ან იპოთეკის საბაზრო ღირებულების ტოლია, კლასიფიკაცია შეიძლება იყოს:

Select one:

- a. „სტანდარტული“.
- b. „საეჭვო“;
- c. „არასტანდარტული“;
- d. „უიმედო“;

Question 12

პირველადი კაპიტალის დაქვითვა არ შედგება შემდეგი კომპონენტისაგან:

Select one:

- a. არამატერიალური აქტივები;
- b. არცერთი პასუხი სწორი არ არის.
- c. ბანკის საწესდებო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გადატანილი თანხა;
- d. ჩვეულებრივი აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;

Question 13

ლიკვიდურობის პირველად რეზერვს არ მიეკუთვნება:

Select one:

- a. სავალდებულო რეზერვების ანგარიშებზე სახსრები;
- b. ნაღდი ფული სალაროში და სეიფში;



c. სამთავრობო ფასიანი ქაღალდები;



d. საგადასახადო საბუთები ინკასირების პროცესში.

Question 14

ლიკვიდატორს შეუძლია შეწყვიტოს კონტრაქტები მომსახურების შესახებ, რომლის განხორციელებაშიც ბანკი მონაწილეობდა:

Select one:



a. დანიშვნის დღიდან სამი თვის განმავლობაში.



b. დანიშვნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში;



c. დანიშვნის დღიდან ერთი თვის განმავლობაში;



d. დანიშვნის დღიდან ერთი წლის განმავლობაში;